ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები
სესხის/კრედიტის ხელშეკრულება N{{ _IBankLoanAgreement['AgreementNo'] }}
თარიღი: {{ format_date(trim_date(_IBankLoanAgreement['LoanDate']),'%d/%m/%Y') }}წ.

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი	
•კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი	**ფიქსირებული**
•კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი	[] %
•კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	[] %
ფინანსური ხარჯები	
•ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა+პროცენტი)	[] ლარი
•პირველი შენატანი	[] ლარი
•ვადის ბოლოს შენატანი	[] ლარი
•კრედიტის გაცემის ადმინისტრაციული გადასახდელი	[] ლარი
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
•კრედიტის მთლიანი (ძირი) თანხის ოდენობა	[] ლარი
•მომხმარებლის გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა	[] ლარი
•კრედიტის ვადა	[] თვე
•საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა	მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე
წინსწრებით დაფარვის საკომისიო	*<u>ა) თუ წინსწრებით დაფარვა ხორციელდება მსესხებლის მოთხოვნით:</u>* წინასწარ დაფარვის საკომისიო იანგარიშება კრედიტის დარჩენილი ძირითადი თანხიდან და ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად შეადგენს: 2%-ს თუ დარჩენილია 24 თვეზე მეტი ვადა, 1%-ს თუ დარჩენილია 12-24 თვემდე ვადა, 0.5%-ს თუ დარჩენილია 6-12 თვემდე ვადა და 0%-ს 6 თვემდე ვადის შემთხვევაში. მსესხებლის მიერ სესხის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების გზით წინსწრებით, სრული ან ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 (ექვსი) თვეზე მეტი, წინსწრების საკომისიო შეადგენს არაუმეტეს 0.5%-ს.

	<u>თუ წინსწრებით დაფარვა ხორციელდება კრედიტორის მოთხოვნით:</u> წინასწარ დაფარვის საკომისიო შეადგენს - 0 %-ს.
•ვადაგადაცილების ჯარიმა - ვადაგადაცილებული თანხის	• []% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ამასთან, გადახდის გრაფიკის დარღვევისას პირგასამტეხლოს ოდენობა ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა იყოს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 პროცენტზე მეტი, ხოლო სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული / დაკისრებული პირგასამტეხლოს და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5- მაგ ოდენობას.
მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობები მოცემულია ხელშეკრულების 4.3 პუნქტში.	

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

მსესხებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია კრედიტორის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

სააქციო საზოგადოება „სილქ ბანკი"
საბანკო ლიცენზია N238
საზედამხედველო ორგანო არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე

სესხის (კრედიტის) ხელშეკრულება N []

თარიღი: []

მხარეები:

• **ერთის მხრივ, გამსესხებელი/კრედიტორი - სს „სილქ ბანკი“;**

• **მეორე მხრივ, მსესხებელი** - []

ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებში, წინამდებარე **სამომხმარებლო სესხის /კრედიტის** (შემდგომში: სესხის ან/და კრედიტის ხელშეკრულება) ხელშეკრულებაში და სესხის ხელშეკრულების დადებასა და შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე მხარეების მიერ გაფორმებულ სხვა დოკუმენტებში, რომელიც დაკავშირებულია სასესხო ურთიერთობებთან, გამოყენებულ ტერმინებს და განმარტებებს აქვთ ქვემოთ განსაზღვრული მნიშვნელობა გარდა, იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტის კონტექსტიდან აშკარად სხვა რამ გამომდინარეობს.

1.1.1. **გამსესხებელი** (შემდგომში „გამსესხებელი ან/და კრედიტორი“) - სს „სილქ ბანკი“ ს/ნ - 201955027; იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N2; ტელეფონის ნომერი: 2 242 242; საბანკო ლიცენზიის ნომერი: N238. ელ.ფოსტა info@silkbank.ge; საზედამხედველო ორგანო არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბანკის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

1.2. **კრედიტორის ელ. ფოსტის მისამართი** - ელექტრონული ფოსტის მისამართი info@silkbank.ge, რომელზეც მსესხებელს შეუძლია გააგზავნოს სხვადასხვა საინფორმაციო განაცხადები, ასევე ელექტრონული მისამართი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მსესხებელს დაეგზავნოს სხვადასხვა სახის, მათ შორის, სარეკლამო საინფორმაციო ელექტრონული შეტყობინებები;

1.3. **აპლიკაცია** - კრედიტორის მობილური ციფრული არხი/მობაილბანკი რომლის საშუალებითაც მსესხებელს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს და დაეთანხმოს კრედიტის პირობებს (საკრედიტო პროდუქტს), კრედიტის ხელშეკრულებას და მის დებულებებს, კრედიტის მნიშვნელოვან და სპეციალურ პირობებს, საკრედიტო ხელშეკრულების თავსართს და დანართს, კრედიტის განაცხადის ფორმას, კრედიტის ხელშეკრულების დანართებს და კრედიტის გაემისათვის კრედიტორის მიერ დადგენილ შესაბამის დოკუმენტაციას.

1.4. **მსესხებლის პირადი პროფილი (კაბინეტი)**- აპლიკაციაში, მსესხებლის მიერ მონაცემების რეგისტრაციის შედეგად შექმნილი პირადი პროფილი (კაბინეტი). პირადი პროფილის (კაბინეტის), საშუალებით მსესხებელს აქვს შესაძლებლობა, წარადგინოს სესხის განაცხადი.

1.5. **განმცხადებელი** - სესხის მაძიებელი პოტენციური მსესხებელი ფიზიკური პირი, რომელიც ავსებს სასესხო განაცხადს და განაცხადზე დადებითი პასუხის მიღებისას პირი რომელიც ხდება მსესხებელი;

1.6. **მსესხებელი** – ხელშეკრულების მხარე, აპლიკაციაში მსესხებლის პირადი პროფილით შევსებულ განაცხადში დაფიქსირებული და გამსესხებლის გადაწყვეტილებით დასაკრედიტებელი/დაკრედიტებული (საკრედიტო პროდუქტის მიმღები) ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს საკრედიტო პროდუქტით დადგენილ მოთხოვნებს/კრიტერიუმებს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომელზეც გამსესხებელმა გასცა სესხი ამ ხელშეკრულების და საკრედიტო პროდუქტით დადგენილი პირობების შესაბამისად;

1.7. **სესხი** - წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელზე საბანკო კრედიტის სახით მიცემული ფულადი თანხა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.8. **სესხის ხელშეკრულება** - გამსესხებელსა და მსესხებელს შორის ელექტრონული ან სტანდარტული ფორმით დადებული წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში - „სესხის ან/და კრედიტის ხელშეკრულება“ და მისი დანართ(ებ)ი, რომლის დადებაზე ნების გამოვლენაც მსესხებლის მიერ, მისი შინაარსის გაცნობის შემდგომ, ხდება ელექტრონულად, რაც ავტომატურად უთანაბრდება ამ დოკუმენტზე მსესხებლის ხელმოწერას და მსესხებელი იბოჭება მის მიერ ამ ფორმით გამოვლენილი ნებით; ამასთან ერთად, თუ ხელშეკრულების დადება მხარეებს შორის მოხდება არა ელექტრონული ფორმით ანუ, სტანდარტული მატერიალიზებული ფორმით, ხელშეკრულებაზე მსესხებლის თანხმობის დადასტურება და მისი ხელმოწერა განხორციელდება სველი ხელმოწერის წესით.

1.9. **ოფერტი** – შესაბამის დოკუმენტებზე (სესხის განაცხადი; ხელშეკრულება; ხელშეკრულების დანართ(ებ)ი; ხელშეკრულების თავსართი; სესხის გადახდის გრაფიკი და სხვა) მსესხებლის ოფერტი დასტურდება მსესხებლის მიერ ამ დოკუმენტების ელექტრონულად გაცნობის და ელექტრონულად თანხმობის დადასტურებით; იმ შემთხვევაში, თუ ხსენებულ დოკუმენტებზე ოფერტი წარმოებს მატერიალიზებული სახით ყველა ასეთი დოკუმენტი ხელმოწერილი (სველი ხელმოწერის პროინციპით) უნდა იყოს მსესხებლის მიერ.

1.10. **განაცხადი (შემდგომში „განაცხადი ან/და სესხის განაცხადი“)** – გამსესხებლის მიერ ბანკისათვის წარდგენილი სესხის განაცხადი, რომელიც მსესხებლის პერსონალურ და სხვა მონაცემებთან ერთად, შეიცავს მითითებას, მსესხებლის მიერ მოთხოვნილი სესხის ოდენობის, სესხის ვადის, დასაბრუნებელი თანხის და სხვა ინფორმაციის შესახებ, და რომლის ელექტრონულად შევსება და დადასტურება სესხის პირობების და სასესხო ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით წარმოადგენს მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის გაკეთებულ ოფერტს (თანხმობას) სესხის მიღებაზე, წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებზე მიერთებაზე და მის დადებაზე; ამასთან ერთად, მხარეები შევთანხმდით, რომ განაცხადი შეიცავს, იმ მონაცემებს, რომელზეც მსესხებელმა დააფიქსირა თავისი თანხობა და თანხმობის დაფიქსირების შემდეგ განაცხადი გახდება სესხის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

1.11. **სესხის/კრედიტის თანხა** – თანხა, რომელიც შეიძლება გაიცეს ან/და გაცემულია მსესხებელზე წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე და მის საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვის გზით და რომელიც ექვემდებარება ამ უკანასკნელის მიერ გამსესხებლისათვის დაბრუნებას, სესხის პროდუქტის, სესხის განაცხადის და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

1.12. **სესხის პროცენტი** – საკრედიტო პროდუქტით ან/და საკრედიტო ხელშეკრულებით/მისი თავსართით ან/და დანართით გათვალისწინებული ფიქსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი/სარგებელი განსაზღვრული პერიოდის მანძილზე, რომელიც ერიცხება კრედიტს საკრედიტო ვადის განმავლობაში ყოველდღიურად და რომლის გამსესხებლისთვის გადახდის ვალდებულებაც მსესხებელს წარმოეშობა სესხის გადახდის გრაფიკით. პროცენტის დარიცხვა წარმოებს საკრედიტო ვადის განმავლობაში ყოველდღიურად და მისი დარიცხვა იწყება სესხის ხელშეკრულების დადების შემდეგ საკრედიტო თანხის მსესხებლისთვის გადარიცხვის მომდევნო კალენდარული დღიდან;

1.13. **ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი** – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში ასევე, საპროცენტო განაკვეთი, რომელიც იცვლება ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ყოველი ცალკეული პერიოდისათვის წინასწარ შეთანხმებული უცვლელი საპროცენტო განაკვეთით. თუ ხელშეკრულების ცალკეული პერიოდისთვის/პერიოდებისთვის საპროცენტო განაკვეთი ცალსახად არაა უცვლელი და წინასწარ შეთანხმებული, საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულად ჩაითვლება მხოლოდ ხელშეკრულების იმ პერიოდისთვის/პერიოდებისთვის, რომლისთვისაც საპროცენტო განაკვეთი ცალსახად უცვლელი სახითაა შეთანხმებული.

1.14. **ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი** – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გარკვეული წესით მიბმულია რაიმე საჯარო ინდექსზე და რომლის ცვლილებაც აღნიშნული ინდექსის ცვლილებითაა გამოწვეული;

1.15. **ცვლადი საპროცენტო განაკვეთი** - საპროცენტო განაკვეთი, რომლის ცვლილება შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ცვლად საპროცენტო განაკვეთად არ მიიჩნევა საპროცენტო განაკვეთი, რომელიც იცვლება მხოლოდ ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და მომხმარებლების ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო;

1.16. **ფინანსური ხარჯი** - ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია გამსესხებლის მიერ და წარმოადგენს მსესხებლის მიერ კრედიტის მიღების, შენარჩუნებისა და მისი სარგებლობის დასრულებისათვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს.

1.17. **კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** – კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მომხმარებლის მიერ ამ ხარჯების გაწევის პერიოდის გათვალისწინებით;

1.18. **სესხის გაცემის საკომისიო** - სარგებელი, რომელიც ერიცხება სესხის თანხას სესხის გაცემის განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, და რომლის გადახდის ვალდებულებაც მსესხებელს წარმოეშობა სესხის თანხის მის სახელზე გაცემისთანავე (გადმორიცხვისთანავე), და რომელიც გამსესხებელს შეუძლია უაქცეპტო წესით ჩამოჭრას სესხის თანხიდან სესხის გაცემისთანავე და მისი გამოკლებით სესხის თანხა გადარიცხოს მსესხებლის საბანკო ანგარიშზე ან/და გამსესხებელმა მისიგადახდა მსესხებელს მოსთხოვოს სესხის დაფარვის ვადის ბოლოს (სესხის პროდუქტის შესაბამისად);

1.19. **პირგასამტეხლო** – მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება, რომელიც გამოიყენება მსესხებლის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და გადაიხდება მსესხებლის მიერ სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების ან სასესხო პირობებით ან/და სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში. მხარეები აცნობიერებენ, რომ პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, ამ უკანასკნელის გადახდის მიზნებისათვის, შესაძლებელია საჭირო გახდეს დარიცხული თანხის კორექტირება დამრგვალებით. დამრგვალება განხორციელდება სტან/დარტული მათემატიკური პრინციპით, 0.01 ლარამდე, რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას;

1.20. **სესხის გადავადება (პროლონგაცია) -** გამსესხებლის თანხმობისა და მსესხებლის მიერ გადავადების საფასურის/საკომისიოს გადახდის საფუძველზე მსესხებლის სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით (თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან).

1.21. **ხელშეკრულების თავსართი** – ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც წინ უსწრებს ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილს/დებულებას და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელშიც მითითებულია კრედიტთან დაკავშირებული ინფორმაცია. ხელშეკრულების თავსართის ნიმუშ(ებ)ი მოცემულია კრედიტორის ვებ-გვერდზე;

1.22. **ხელშეკრულების დანართი** - ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც არის ხელშეკრულების ყველა სხვა ნაწილი/დებულებების დამატება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და, რომელშიც მითითებულია კრედიტთან დაკავშირებული ინფორმაცია;

1.23. **მსესხებლის საბანკო ანგარიში** – მსესხებლის საბანკო ანგარიში სს „სილქ ბანკში“, რომელზეც გადაირიცხება სესხის თანხა გამსესხებლის მიერ მსესხებლის დაკრედიტების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში;
1.24. **მსესხებლის თანხმობა სესხის მიღებაზე** – მსესხებლის მიერ აპლიკაციის გამოყენებით, ბანკში დადგენილი პროცედურის შესაბამისად, სასესხო განაცხადის ბანკისათვის წარდგენისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებზე არამატერიალური ფორმით თანხმობის გაცხადება;
1.25. **მიმდინარე დავალიანება** – მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე შესასრულებელი ფულადი ვალდებულება კონკრეტულ დროის შუალედში, რომელიც მოიცავს დაბრუნებას დაქვემდებარებულ სესხის თანხას, დარიცხულ პროცენტსა, საკომისიოს ანდა პირგასამტეხლოს, სასესხო პროდუქტით და სასესხო ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი ხარჯების ჩათვლით;
1.26. **სესხის დაბრუნების თარიღი** – სასესხო/საკრედიტო ხელშეკრულებით და გადახდის გრაფიკით შეთანხებული სესხის გადახდის თარიღი, რის საფუძველზეც დგინდება აღებული სესხის თანხის, მასზე დარიცხული საკომისიოს (ასეთის არსებობისას), საპროცენტო სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება;
1.27. **ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომერი (ფინანსური ნომერი)** - სს „სილქ ბანკის“ სისტემებში/პროგრამულ უზრუნველყოფაში რეგისტრირებული მომხმარებლის/მსესხებლის „ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომერი, რომელზეც მსესხებელს ეგზავნება სასესხო განაცხადის დადასტურების, პერსონალური მონაცემების გამოთხოვა/დამუშავება/შენახვაზე გაკეთებული თანხმობების დადასტურების, სესხის ხელშეკრულების (მისი თავსართები/დანართთები/გადახდის გრაფიკები) დადასტურების და საბანკო ოპერაციების შესასრულებლად საჭირო პერსონალური (SMS) კოდები;
1.28. **„პერსონალური კოდი ანდა სმს (SMS) კოდი“** – უნიკალური სმს (SMS) კოდი, რომელიც ეგზავნება მსესხებელს და რომლის გამსესხებლისათვის კარნახითაც მსესხებელი ადასტურებს/გამოხატავს მის თანხმობას, ხელშეკრულებაზე ან/და სხვა დოკუმენტაციაზე რაც მოთხოვნილია სესხის გაცემის პროცესში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით (შემდგომში “ხელშეკრულება”) გათვალისწინებული პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად ბანკი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით მსესხებელს მისცეს საბანკო კრედიტი, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული საბანკო კრედიტი, გადაიხადოს მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ხარჯი და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

3. **კრედიტის პირობები.**	
3.1. კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი	. ფიქსირებული
3.2. კრედიტით სარგებლობის ვადა	[]
3.3. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა	[]
3.4. საკრედიტო თანხის მთლიანი მოცულობა	[]
3.5. გასატანი თანხის ოდენობა	[]
3.6. მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა	[]
3.7. პერიოდულობა (გატანის თარიღები)	[]
3.8. გატანის საერთო რაოდენობა	[]
3.9. წლიური საპროცენტო განაკვეთი. დარიცხვა	[]

გრძელდება გადაუხდელი ძირი თანხის სრულად დაფარვამდე,	
3.10. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	[]
3.11. კრედიტის მიზნობრიობა	[]
3.12. კრედიტის დასაფარად შენატანების შეტანის თარიღი/ოდენობა / სიხშირე / შენატანების განხორციელების მაქსიმალური ვადები / საერთო რაოდენობა	**· გათვალისწინებულია სესხის გადახდის გრაფიკით**
კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები	
3.13. კრედიტის გაცემის საკომისიო	[]
3.14. თანხის განაღდების საკომისიო	[]
3.15. სადაზღვევო ხარჯი (ასეთის არსებობისას)	[]
კრედიტის შენარჩუნებასთან და დაფარვასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები	
3.16. კრედიტის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო	· []
3.17. ინფორმაცია ფინანსური ხარჯების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში	**· 3.2. , 3.4. , 3.9. , 3.12. , 3.13. , 3.14. , 3.15. 3.20. პუნქტებით განსაზღვრული საკომისიო ხარჯები**
3.18. ვადაგადაცილებულ თანხაზე ბანკის სასარგებლოდ დასარიცხი ყოველდღიური პირგასამტეხლო	[]% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე
3.19. მსესხებლის უფლება კრედიტის წინასწარ დაფარვაზე	**· მსესხებელს აქვს კრედიტის წინსწრებით დაფარვის უფლება**
3.20. მსესხებლის მიერ კრედიტის წინასწარ დაფარვის უფლების გამოყენების შემთხვევისას (ასეთი უფლების არსებობისას) წინსწრებით დაფარულ თანხებზე ბანკის სასარგებლოდ დასარიცხი პროცენტი (ხარჯი)	• ა) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0.5%-ისა; • ბ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 1%-ისა; • გ) თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი, გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 2%-ისა.

	• მსესხებლის მიერ სესხის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების გზით წინსწრებით, სრული ან ნაწილობრივი დაფარვის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 (ექვსი) თვეზე მეტი, არაუმეტეს 0.5%-ის. • წინასწრების საკომისიოს და/ან პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება ბანკს არ აქვს, თუ: ა) ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი; ბ) კრედიტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება იმავე ბანკის მიერ გაცემული ახალი კრედიტით; გ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება ბანკის მოთხოვნით; დ) კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ბანკის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით. წინსწრებით დაფარვის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილ ვადაზე დასარიცხი პროცენტის თანხას.
3.21. დამატებითი პირობები	[]

4. ზოგადი დებულებები

4.1. ხელშეკრულებაზე დათანხმებით მსესხებელი ადასტურებს, რომ:

4.1.1. სასესხო განაცხადი (შემდგომში „განაცხადი“) შედგენილია მისი ნების შესაბამისად;

4.1.2. მის მიერ განაცხადის ფორმით ან/და სხვა გზით გამსესხებლისათვის მიწოდებული მონაცემები არის სწორი და უტყუარი, არ მიუწოდებია გამსესხებლისათვის შეცდომაში შემყვანი ან/და არასწორი ინფორმაცია და გამსესხებელს ანიჭებს სრულ უფლებამოსილებას აღნიშნული ინფორმაციის/მონაცემების გადამოწმების მიზნით შეუზღუდავად გამოიყენოს ნებისმიერი წყარო რაც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

4.1.3. დეტალურად გაეცნო სესხის ხელშეკრულების პირობებს და ეთანხმება მათ. ასევე, დეტალურად გაეცნო მის დანართ(ებ)ს, მათ შორის, სესხის განაცხადი; ხელშეკრულების თავსართი; სესხის ხელშეკრულების სპეციალური პირობები; სესხის გადახდის გრაფიკი; თანხმობა საკრედიტო ბიუროდან მონაცმებების მოპოვების/დამუშავების და გადაცემის შესახებ; და სხვა თანხმობებს რაც ამ ხელშეკრულების დანართად იქნება მოცემული და შესწორებების გარეშე სრულად ეთანხმება და უერთდება მათ;

4.1.4. სასესხო განაცხადში მითითებული მონაცემების შემოწმების მიზნით, ასევე, განაცხადის განხილვის/დამუშავების, მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის და დაკრედიტებაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით, „გამსესხებელს“ ანიჭებს უფლებამოსილებას დაამუშავოს, მათ შორის, მოიპოვოს და შეინახოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები შესაბამის წყაროებიდან, მათ შორის: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროდან. ასევე, მსესხებლის მიმართ მოთხოვნის უფლების სხვა პირზე გადაცემისას „გამსესხებელს“ ანიჭებს უფლებამოსილებას გადასცეს მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაცია მოთხოვნის ახალ მფლობელს;

4.1.5. „გამსესხებელს“ ანიჭებს უპირობო უფლებას, საკრედიტო ბიუროს (მათ შორის კრედიტ ინფო საქართველოს) მიაწოდოს მონაცემთა სუბიექტის (მსესხებლის) ყველა სესხის/კრედიტის, გარესაბალანსო ვალდებულებების (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) შესახებ ინფორმაცია. სს „სილქ ბანკს“ უფლება აქვს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაცია გადასცეს საკრედიტო ბიუროს (მათ შორის კრედიტინფო საქართველოს) საკრედიტო ისტორიაში ნებისმიერი ცვლილებების/დამატებების შეტანისას, იმ წესის შესაბამისად, რაც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.1.6. ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის (მათ შორის სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“) ინფორმაციის მიწოდება იწვევს მონაცემთა სუბიექტის აღრიცხვას საკრედიტო ბიუროს მონაცემთა ბაზაში, რომლის მიზანია, ფიზიკურ პირებზე მონაცემთა შეგროვება, გადამუშავება და გავრცელება, რომელიც დაკავშირებულია გადამხდელუნარიანობის / კრედიტუნარიანობის ანალიზი/შეფასება. ამასთან ერთად, ინფორმირებულია, რომ აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდება სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს„ რომელიც წარმოადგენს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს და რომელსაც უფლება აქვს მიღებული ინფორმაცია დაამუშავოს/გადაამუშაოს და გადასცეს მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტის კრედიტუნარიანობის/გადახდისუნარიანობის შეფასებისა და შემოწმების მიზნით.

4.1.7. ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ სს „სილქ ბანკი“-ს მიერ სესხის/კრედიტის (გარესაბალანსო ვალდებულებების წარმოშობის, აკრედიტივი, გარანტია და სხვა) გაცემის შემთხვევაში საკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაცია მიეწოდება საკრედიტო ბიუროს. შესაბამისად ადასტურებს, რომ სს „სილქ ბანკი“ უფლებამოსილია ხსენებული ინფორმაცია მისი დამატებითი ინფორმირების და თანხმობის მოპოვების გარეშე გადასცეს საკრედიტო ბიუროს (მათ შორის კრედიტ ინფო საქართველოს).

4.1.8. სს „სილქ ბანკი“ უფლებამოსილია, მის მიმართ საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულებების არსებობისას და მათი მოქმედების პერიოდში სს „სილქ ბანკმა“ განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება საკრედიტო ბიუროში (მათ შორის კრედიტინფო საქართველოს ბაზაში) დამატებითი თანხმობების გარეშე, მონაცემთა სუბიექტის არსებული ვალდებულების მონიტორინგის ან/და ახალი საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულების გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

4.1.9. მის მიერ აპლიკაციის გამოყენებით დაფისქირებული ნება საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის თაობაზე და თანხმობა წინამდებარე ხელშეკრულებასა და მის დანართებზე ნამდვილია, სრულად გამოხატავს მის ნებას და უთანაბრდება მატერიალურ ხელმოწერას.

4.1.10. არ მონაწილეობს მონაწილეობს რაიმე სახის უკანონო საქმიანობაში, მათ შორის არ არის ჩართული, ტერორიზმში, იარაღით ან/და ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან/და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

4.1.11. მსესხებლისთვის ცნობილია, რომ ბანკი ვალდებულია თავდებობის/სოლიდარული პასუხისმგებლობის ხელშეკრულების მონაწილე მხარისათვის, ასევე იპოთეკის და/ან გირავნობის საგნის მესაკუთრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართისა და მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულების ასლები იმავე ფორმით, რა ფორმითაც გაფორმებულია მსესხებელთან და აღნიშნული ვალდებულების თაობაზე მსესხებელი წინასწარ გაფრთხილებულია.

4.1.12. სრულად აცნობიერებს გაკეთებული განაცხადით მცდარი ინფორმაციის მიწოდებისთვის კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ და ფინანსურ პასუხისმგებლობას და იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის პროცესის არასათანადოდ დასრულების შესაძლო შედეგს, რაც შეიძლება გახდეს მსესხებლის მიმართ შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების გატარების საფუძველი და სესხზე განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი;

4.1.13. სესხის გაცემაზე უარი არ გამოიწვევს გამსესხებლის ვალდებულებას ახსნას უარის საფუძველი და ასეთი სახის ინფორმაციის გაცემა დამოკიდებულია მხოლოდ „გამსესხებლის“ კეთილ ნებაზე;

4.1.14. გაკეთებული სასესხო განაცხადის ან/და ''სესხის ხელშეკრულების'' ირგვლივ წამოჭრილ ნებისმიერ დავას მხარეები (''გამსესხებელი'' და „განმცხადებელი/მსესხებელი'') წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განიხილება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

4.1.15. თანახმაა ყველა სახის ინფორმაცია მიიღოს სასესხო განაცხადში დაფიქსირებულ საკონტაქტო მისამართ(ებ)ზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე ანდა დისტანციურ არხებში (აპლიკაცია/ინტერნეტ ბანკი და სხვა).

4.1.16. გააჩნია სრული (შეუზღუდავი) ქმედუნარიანობა, სასესხო განაცხადის წარდგენაზე და სასესხო ხელშეკრულებასთან მიერთებისას არ იმყოფება ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური პრეპარატების ზემოქმედების ქვეშ, არ იმყოფება შეცდომის, თაღლითობის, ზეწოლის, მუქარისა ან ნებისმიერი სხვა მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედების ქვეშ და არ წარმოადგენს ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომაში შეყვანისა, თუ სხვა აკრძალული მოქმედების ობიექტს გამსესხებლის ან ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, სრულად აცნობიერებს საკუთარი ნების გამოვლენის შინაარსს და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს;

4.1.17. აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე და ითვლება საქართველოს რეზიდენტად საქართველოს საგადასახადო კოდექსის და საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად;

4.1.18. არ აქვს შეუსრულებელი ან ვადაგადაცილებული სასესხო ვალდებულებები გამსესხებლის ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ;

4.1.19. არ არის დარეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

4.1.20. გაეცნო ამ ხელშეკრულების პირობებს და ეს პირობები არის მისთვის მისაღები და უერთდება მათ შესწორებების გარეშე. ასევე, იღებს ვალდებულებას სრულად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები და დააბრუნოს მიღებული სესხი;

4.2. მსესხებელი იღებს ვალდებულებას, სასესხო განაცხადის დამუშავების და სასესხო ურთიერთობის დასრულებამდე იქონიოს აქტიური საბანკო ანგარიში სს „სილქ ბანკში“.

4.3. ***<u>ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება:</u>***

4.3.1. მსესხებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3.2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის სურვილის შემთხვევაში, მსესხებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების ხელმოწერიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, წერილობითი ფორმით ან/და ელექტრონულად ინტერნეტ/მობაილ ბანკის (აპლიკაციის) ან/და ბანკის კონტაქტ ცენტრის მეშვეობით, შესაბამისი განაცხადით მიმართოს ბანკს მის (მსესხებლის) მიერ

ხელშეკრულებაზე უარის თქმის სურვილის თაობაზე. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს უარის თქმის მოთხოვნა, თუ იგი არ ხორციელდება კანონმდებლობის, ხელშეკრულების, ბანკის შიდა პოლიტიკა-პროცედურების შესაბამისად, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ მსესხებელმა განაცხადში არ მიუთითა სულ მცირე შემდეგი ინფორმაცია: მსესხებლის სახელი-გვარი/დასახელება, პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, უარსაყოფი ხელშეკრულების - დასახელება, თარიღი, ნომერი ან/და ვერ ხორციელდება კონტაქტ ცენტრის მეშვეობით მსესხებლის სათანადო, სრული და ჯეროვანი იდენტიფიკაცია.

4.3.3. მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე განაცხადის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში გადაუხადოს ბანკს ხელშეკრულებით განსაზღვრული და მასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი და გადასახდელი, მათ შორის როგორებიცაა, კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა და ამ თანხაზე კრედიტით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, პირსაგამტებლოს ან/და ჯარიმის თანხები, ადმინისტრაციული ან/და ნოტარიული ხარჯები. კრედიტით სარგებლობის პერიოდად ითვლება კრედიტის დამტკიცების დღიდან, ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა გადასახადისა და გადასახდელის ბანკისთვის სრულად გადახდის დღის ჩათვლით პერიოდი. მსესხებელი ასევე ვალდებულია დაუბრუნოს ბანკს მიღებული ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ უარის თქმის უფლებამდე გადახდილი თანხა მსესხებელს არ უბრუნდება.

4.3.4. მსესხებლისთვის აგრეთვე ცნობილია და ეთანხმება, რომ მიუხედავად ხელშეკრულებაზე უარის თქმის თაობაზე ბანკისთვის წერილობით უარის დაფიქსირებისა, უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის აუცილებელი ვალდებულებ(ებ)ის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მსესხებელი ვალდებული რჩება დათქმულ დროში, სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად დროულად გადაიხადოს მიმდინარე შენატანი, წინააღმდეგ შემთხვევში მას (მსესხებელს) დაერიცხება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამასთან ბანკი უფლებამოსილი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისთვის დადგენილი სანქციის ასევე მიმდინარე შენატანის, ზიანის/ზარალის ან/და მსესხებლის დავალებით ბანკისთვის გადასახდელი თანხები ჩამოწეროს მსესხებლის ანგარიშებიდან უაქცეპტოდ 30 დღიანი ვადის გასვლამდეც ნებისმიერ დროს.

4.3.5. უარის თქმის თაობაზე ბანკისათვის პირველი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში, მსესხებელი ვალდებულია უზრუნველყოს სრულად დასაფარი თანხის ბანკისთვის გადახდა ერთიანი დაფარვის გზით. მსესხებლის მიერ უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის გადასახდელი თანხის სრულად დაფარვამდე, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ განხორციელებული ნაწილობრივი შესრულებები მიიჩნიოს კრედიტის თანხის წინსწრებით, მსესხებლის ინიციატივით დაფარვად და იმოქმედოს წინსწრების შემთხვევებისთვის კანონმდებლობით, ხელშეკრულებით ან/და ბანკის შიდა პოლიტიკ(ებ)ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. თუ მსესხებელმა ასეთი წინსწრების შემთხვევებისთვის წინასწარ არ განუსაზღვრა ბანკს ახალი გრაფიკის კანონმდებლობით განსაზღვრული ალტერნატივები, ბანკი უფლებამოსილია თავის შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება ახალი გრაფიკის ფორმირების თაობაზე. მხარეები ერთმნიშვნელოვნად თანხმდებიან, რომ გაცემული თანხის და შესაბამისი გადასახდებელის სრულად დასაფარად საკმარისი მსესხებლის ფულადი სახსრების ბანკში არსებობის ან/და განთავსების შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია არ მოახდინოს ბანკის წინაშე ვალდებულების ავტომატურად დაფარვა გადახდის ვალდებულების დადგომის თარიღამდე (მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმიდან 30-ე დღე) და მსესხებლის ინიციატივით ხელშეკრულებაზე უარის თმის მიზნით ვალდებულების დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბმისად მსესხებლის მიერ ბანკისთავის მიმართვის საფუძველზე.

4.3.6. თუ მსესხებელი არ უზრუნველყოფს ბანკისათვის პირველი შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად, მსესხებლისთვის ინფორმირების გარეშე:

გააგრძელოს საკრედიტო ხელშეკრულება ან/და თანხის ნაწილობრივ ჩამოჭრის შემთხვევაში, ჩამოჭრილ თანხაზე იხელმძღვანელოს კრედიტის წინსრებით დაფარვის პირობების შესაბამისად.

4.3.7. იმ შემთხვევაში, თუ უარის თქმის უფლების რეალიზების პროცესში, ნებისმიერი დროს წარმოიშობა მსესხებლის სხვა სახის დავალიანება (მათ შორის ვადამოსული ან/და ვადამოუსვლელი) გარდა უარის თქმის უფლების რეალიზებისთვის შესასრულებელი ფულადი ვალდებულებებისა, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის მიერ განხორციელებული შესრულებებით (ან/და მსესხებლის ანგარიშზე არსებული თანხის უაქცეპტო ჩამოწერის გზით) პირველ რიგში დაფაროს ასეთი სხვა სახის დავალიანება, ხოლო შემდგომ უარის თქმის უფლების რეალიზების მიზნით ბანკისთვის გადასახდელი თანხები. მსესხებელთა სიმრავლისას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთ-ერთი მსესხებლის მიერ უარის თქმა წარმოშობს ანალოგიურ შედეგებს დანარჩენ მსესხებელთა მიმართაც, მიუხედავად ამ უკანასკნელთა პოზიციისა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. გადასახდელი თანხები გამოანგარიშდება ხელშეკრულებიდან და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გადასახდელებისა და გადასახადებიდან და არა კონკრეტული მსესხებლის პროპორციიდან გამომდინარე. მათ შორის, ხელშეკრულებიდან ათვისებული თანხის, გაწეული/გასაწევი ხარჯების, დაფარვის ვადების, პირგასამტეხლოს, საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

4.3.8. მსესხებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის ვალდებულება სრულად დაფაროს მსესხებლის ბანკში გახსნილი ნებისმიერი) ანგარიშ(ებ)იდან ფულადი სახსრების უაქცეპტო წესით ჩამოწერის გზით. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ვალდებულების დაფარვა პირველ რიგში ხორციელდება იმ ვალუტის ანგარიშ(ებ)იდან, რომელ ვალუტაშიც განსაზღვრულია გადახდები (თუ მსესხებელი სხვა დავალებას არ მისცემს ბანკს უშუალოდ დაფარვის განხორციელებამდე). ასეთ ანგარიშ(ებ)ზე დავალიანების სრული თანხის არარსებობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის ბანკში არსებული ნებისმიერი სხვა ვალუტის ანგარიშიდან უაქცპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, ასევე, თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს მსესხებლის ანგარიშიდან.

4.3.9. მსესხებლის მიერ უარის თქმის შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული უარის თქმასთან დაკავშირებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემდეგ.

5. სესხის განაცხადის განხილვა და სესხის გაცემა

5.1. სასესხო განაცხადის განხილვის მიზნით მსესხებელი ვალდებულია შეავსოს სესხის განაცხადს ბანკში დადგენილი წესის შესაბამისად.

5.2. სასესხო განაცხადის განხილვისთვის განმცხადებელ/მსესხებელს უნდა ჰქონდეს აქტიური საბანკო ანგარიში, ბანკში სათანადო წესით რეგისტრირებული, აქტიური მობილური ტელეფონის ნომერი (ფინანსური ნომერი);

5.3. განაცხადის შევსების შედეგად აუცილებელია განმცხადებლის იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია ბანკის მიერ დადგენილი წესით;

5.4. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, მსესხებელი თუ მსესხებელი ავლენს სესხის ხელშეკრულების დადების ნებას, იგი აპლიკაციის გამოყენებით ადასტურებს სესხის ხელშეკრულებაზე და სასესხო თანხების მიღებაზე თანხმობას და შედის სასესხო გარიგებაში გამსესხებელთან.

5.5. კრედიტის სპეციფიკური და სპეციალური პირობები მიეთითება სესხის განაცხადში, სესხის ხელშეკრულებაში მის თავსართში/ დანართში და გადახდის გრაფიკში;

5.6. სესხის გაცემა ხდება სასესხო თანხის მსესხებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით, რომელიც მას გააჩნია გამსესხებელთან.

5.7. იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემა წარმოებს უკვე არსებული სასესხო დავალიანებ(ებ)ის დაფარვის (რეფინანსირების) მიზნობრიობით, ბანკი უფლებამოსილია ახალი სესხის თანხით ავტომატურად (უაქცეპტო წესით ჩამოწერით) დაფაროს მსესხებლის ძველი დავალიანება, ხოლო ნამეტი თანხა (ასეთის არსებობისას) რჩება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე და ხელმისაწვდომი იქნება მსესხებლისთვის, თუ მისი ხელმისაწვდომობა არაა შეზღუდული წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით მაგ: ინკასო ყადაღა და თანხების განკარგვაზე შეზღუდვა.

5.8. სესხის ხელშეკრულება, სესხის ხელშეკრულების თავსართი, სესხის ხელშეკრულების დანართი, სესხის გადახდის გრაფიკი, მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის თანხის გადარიცხვის დოკუმენტი, საბანკო ანგარიშის გახსნის განაცხადი, საბანკო ანგარიშის ამონაწერი და ასევე, სესხის განაცხადი წარმოადგენს მსესხებლის და სესხის პირობების დეტალური ინფრმაციის ამსახველ დოკუმენტ(ებ)ს და სასესხო გარიგების ნაწილს, რომლის მეშვეობითაც დასტურდება სასესხო გარიგების პირობები და მისი დადების ფაქტი.

6. სესხის გადახდის პირობები

6.1. სესხის ძირი თანხის, სესხის პროცენტის (ასეთი არსებობისას) და სესხის გაცემასთან დაკავშირებული საკომისიოები მსესხებლის მიერ გადახდილი უნდა იყოს სესხის სპეციალური პირობების, სესხის გადახდის გრაფიკის (რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართს) შესაბამისად.

6.2. თუ გადახდის დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, გადახდის დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო სამუშაო დღე.

6.3. სესხის დაფარვა ხორციელდება მსესხებლის საბანკო ანგარიშზე სესხის დასაფარად (გადახდის გრაფიკი) საკმარისი ხელმისაწვდომი თანხების არსებობის საფუძველზე, შესაბამისი თანხების მსესხებლის საბანკო ანგარიშიდან ჩამოწერის (კონვერტაციის უფლების გათვალისწინებით), გარდა ვადიანი დეპოზიტიდან (გარდა დეპოზიტით უზრუნველყოფილი კრედიტისა) და ამ თანხების გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე გადატანის გზით.

6.4. გადახდები ხორციელდება ეროვნული ვალუტაში. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ „მსესხებლის“ საბანკო ანგარიშზე არაა საკმარისი სესხის დასაფარად ეროვნულ ვალუტაში არსებული სახსრები, „გამსესხებელი“ უფლებამოსილია დამატებითი თანხმობის მოპოვების გარეშე მოახდინოს მსესხებლის სავალუტო ანგარიშზე (ასეთის არსებობისას) არსებული თანხის კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში სს „სილქ ბანკის“ კომერციული კურსის შესაბამისად და მიმართოს კონვერტირებული თანხები სასესხო დავალიანების დასაფარად.

6.5. მსესხებლის მიერ გადახდილი თანხებით პირველ რიგში იფარება:

6.5.1. სესხის გაცემის საკომისიო;

6.5.2. პირგასამტეხლო, ასანაზღაურებელი ხარჯები;

6.5.3. დარიცხული პროცენტი (ასეთის არსებობისას);

6.5.4. და ბოლოს სესხის ძირითადი თანხა.

6.6. თუ გადახდილი თანხები საკმარისი არ არის პროცენტისა და სესხის ძირი თანხის დასაფარად, შეუსრულებელ ნაწილში გრძელდება პირგასამტეხლოს დაკისრება.

6.7. მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას სესხის დაფარვის ზემოაღნიშნულ („6.5“ პუნქტით განსაზღვრული) რიგითობაზე და იმაზე რომ გამსესხებელი ერთპიროვნულად უფლებამოსილია შეცვალოს აღნიშნული რიგითობა.

6.8. სესხი სრულად დაფარულად ჩაითვლება და სასესხო ურთიერთობა წყდება სასესხო ვალდებულების სრულად დაფარვის შემთხვევაში. თანხის ნაწილობრივი გადახდა არ ითვლება ვალდებულების შესრულებად და შეუსრულებელ ნაწილში გრძელდება პირგასამტეხლოს დარიცხვა.

6.9. მსესხებელი უფლებამოსილია მოახდინოს სესხის ვადამდე წინსწრებით სრულად ანდა ნაწილობრივ დაფარვა, რისთვისაც მან გამსესხებელს უნდა წარუდგინოს სესხის წინსწრებით დაფარვაზე განაცხადი. მსესხებელი ვალდებულია აცნობოს გამსესხებელს წერილობით ან სხვა ფორმით სესხის ვადაზე ადრე წინსწრებით სრულად ანდა ნაწილობრივ დაფარვის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სესხის წინსწრებით დაფარვისას მსესხებელი გადახდის დანიშნულებაში არ მიუთითებს წინსწრებით სესხის დაფარვის შესახებ ინფორმაციას, სესხის გადახდა წინსწრებით არ მოხდება და გადახდილი იქნება ვადადამდგარი გადასახადი, ხოლო ნამეტი თანხა დარჩება მსესხებლის ანგარიშზე. სესხის ვადამდე სრულად ანდა წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი იხდის სესხის ძირ თანხას სრულად, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს (სესხის დაბრუნების დღისთვის დარიცხულ პროცენტს) და წინსწრების საკომისიოს და პირგასამტეხლოს (ასეთის არსებობისას). ამასთან ერთად, თუ მსესხებელი წერილობით, ზეპირი ანდა მისთვის სასურველი ნებისმიერი ფორმით გამსესხებელთან დააფიქსირებს მის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებით სესხის წინსწრების დაფარვის მოთხოვნას, გამსესხებელი უზრუნველყოფს ხსენებული მოთხოვნის დაუყოვნებლივ შესრულებას.

6.10. სესხის წინსწრებით დაფარვისას, წინსწრების საკომისიოს (პირგასამტეხლოს) დაკისრება და აღება გამსესხებლის მიერ განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობით და წესით.

6.11. **მსესხებელი ვალდებულია:** გამსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს შემოსავლების შესახებ ინფორმაციის და დოკუმენტების (ასეთის არსებობისას) მიწოდება; შემოსავლების შესახებ მონაცემების მონიტორინგის მიზნით, შეუფერხებლად დაუშვა გამსესხებლის წარმომადგენლის წვდომა, იმ ინფორმაციაზე, რომელიც დაადასტურებს მსესხებლის მიერ სასესხო განაცხადში მითითებული მონაცემების შესაბამისობას და გადახდისუნარიანობას; დაუშვას პირველი მოთხოვნისთანავე გამსესხებლის წარმომადგენლები, იმ ადგილსამყოფელში, სადაც მსესხებელი საქმიანობს და რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მსესხებლის საქმიანობის მონიტორინგი და მიღებული ინფორმაციის დამუშავებით მისი შემოსავლების და განაცხადში მითითებული მონაცემების დადასტურება; სასესხო ვალდებულების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში, გამსესხებლის მოთხოვნის შემთხვეაში ნებისმიერ დროს, უზრუნველყოს ვალდებულებების დაფარვის წყაროზე ინფორმაციის მიწოდება;

6.12. მსესხებელი ვალდებულია, გამსესხებლის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში მსესხებელს წარუდგინოს სესხის მიღებისას მის მიერ წარდგენილი ნებისმიერი საბუთის, განცხადების, და სხვა დოკუმენტების ნამდვილობის გადასამოწმებლად, განახლებული ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს წინა დოკუმენტებით გაცემული ინფორმაციის ნადვილობას. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ უზრუნველყოფს ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულების შესრულებას გამსესხებელი უფლებამოსილი იქნება ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მოითხოვოს სასესხო დავალიანებსი წინსწრებით სრულად დაფარვა წინსწრების საკომისიოს მოთხოვნის გარეშე.

7. სესხის გადავადება

7.1. გამსესხებლის თანხმობის შემთხვევაში მსესხებელს შეუძლია სასესხო პროდუქტის შესაბამისად ისარგებლოს სესხის გადავადების (სესხის დაფარვის ვადის გაგრძელება) შესაძლებლობით, რისთვისაც გადავადებამდე მსესხებელმა გამსესხებელს უნდა აცნობოს გადავადების უფლების გამოყენების შესახებ. ამასთან ერთად, მხარეები ადასტურებენ, რომ გადავადების სერვისით სარგებლობა არ ხდება ავტომატურ რეჟიმში და გადავადების სერვისით სარგებლობა შესაძლებელია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების გზით, რომელიც უნდა შედგეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

8. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

8.1. მხარეები შევთანხმდით, რომ გამსესხებელი უფლებამოსილია დაამუშავოს მსესხებლის პერსონალური მონაცემები (შეგროვება, შენახვა, აღრიცხვა, დარეგისტრირება, გადაცემა და სხვა), როგორც სესხის გაცემამდე, ასევე, სასესხო ვალდებულების არსებობის მთელ პერიოდში მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნებისთვის.

8.2. მესამე პირს მსესხებლის პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს:

8.2.1. სესხზე მოთხოვნის უფლებით გაყიდვის/გადაცემის შემთხვევაში, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;

8.2.2. მაკონტროლებელ საზედამხედველო ორგანოებს, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;

8.2.3. გამსესხებლის ფინანსური აუდიტის კომპანიას, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;

8.2.4. საკრედიტო ბიურო(ებ)ს, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;

8.2.5. სესხის გაპრობლემების შემდეგ (ვადაგადაცილების დაფიქსირებისას) პრობლემური სესხების ამოღების გარე კომპანიებს / პარტნიორებს, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;

8.2.6. საპროცესინგო მომსახურების გამწევ ან სხვა მესამე პირს, რომელიც გადახდის პროცესინგს უზრუნველყოფს, რაც აგრეთვე აუცილებელია ამ მომსახურების გასაწევად, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული;

8.2.7. სასამართლო, სააღსრულებლო ანდა სამართალდამცავ ორგანოებს კანონის ფარგლებში, რაც აღარ მოითხოვს მსესხებლის დამატებით თანხმობას ვინაიდან, იგი ამ ხელშეკრულებით უკვე არის აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული.

8.3. სესხის ხელშეკრულებაზე დათანხმებით მსესხებელი ეთანხმება, რომ მისთვის სათანადო მომსახურების გაწევის მიზნით, გამსესხებლის საოპერაციო საქმიანობის, სესხის დაბრუნების/ამოღების მიზნებისათვის შესაძლოა მსესხებლის პირადი მონაცემები, გარდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციისა, გამჟღავნებული იქნას გამსესხებლის შიდა პერსონალთან შეზღუდვის გარეშე, მათ შორის გამსესხებლის ჯგუფში შემავალ კომპანიებთან. ამასთან, გამსესხებელი უფლებამოსილია, მსესხებლის შესახებ ინფორმაცია, გადასცეს „გამსესხებლის“ ჯგუფში შემავალ კომპანიებს მათი საოპერაციო საქმიანობის სრულყოფის, მათ მიერ სესხის გაცემაზე ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების, სესხის დაბრუნების, მსესხებლის გადახდისუნარიანობის დადგენის მიზნებისთვის, იმ მოცულობით, რაც აუცილებელი იქნება ამ პუნქტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

8.4. ამ ხელშეკრულებით მსესხებელი აცხადებს უპირობო თანხმობას, რომ:

8.4.1. გამსესხებელმა სესხის განაცხადის დამუშავების პროცესის წარმოების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, უფლებამოსილია მოიძიოს და გადაამოწმოს მსესხებლის შესახებ ინფორმაცია ნებისმიერი რეესტრიდან და მონაცემთა ბაზიდან, მათ შორის: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;

8.5. მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, გამსესხებელმა მსესხებლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საკრედიტო ბიურო(ებ)ს. გამსესხებელი ამ მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებას განახორციელებს იმ ფარგლებში, რაშიც აღნიშნული აუცილებელია გამსესხებლის სამეწარმეო ინტერესების დასაცავად;

8.6. მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებლის მიერ სესხის გადახდის მიზნით, სესხის დაფარვის ვადები, გადასახდელი თანხმების მოცულობა, საბანკო ანგარიშის ნომრ(ებ)ი, მსესხებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, და სესხთან დაკავშირებული სხვა რელევანტური მონაცემები განათავსოს სხვადასხვა საგადახდო არხებში, ინტერნეტ ბანკში და/ან პერსონალულ კაბინეტში და/ან მობილურ აპლიკაციებში. ამასთან ერთად, აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელი იქნება შესაბამის საგადახდო არხებში მსესხებლის პირადი ნომრის (მსესხებლის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის) შეყვანისას და/ან ინტერნეტ-ბანკში და/ან პერსონალულ კაბინეტში და/ან მობილურ აპლიკაციაში შესაბამის ველში პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო მონაცემის (მომხმარებლის / პაროლის) შეყავანის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს არ სურს, რომ ამ პუნქტში მითითებული მისი პერსონალური მონაცემები განთავსდეს შესაბამის საგადახდო არხებში და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ინტერნეტ ბანკში და/ან მობილურ აპლიკაციებში და/ან პერსონალულ კაბინეტში, მან აღნიშნულის შესახებ წერილობით უნდა მიმართოს გამსესხებელს და მოითხოვოს ასეთი სახის ინფორმაციის შესაბამის არხში განთავსების დაბლოკვა. ამასთან, გამსესხებელი პასუხს არ აგებს მესამე პირის მიერ სწრაფი გადახდის აპარატის და სხვა საგადახდო არხების მეშვეობით მსესხებლის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შეყვანის შემთხვევაში მსესხებლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე;

8.7. მესამე პირის მიერ მსესხებლის სასესხო ვალდებულებების შესრულების მიზნით გამსესხებელმა მსესხებლის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია მიმდინარე ვადაგადაცილების თაობაზე გადასცეს, იმ მესამე პირებს, რომლებიც გამსესხებელთან ზეპირი ან წერილობითი ფორმით დააფიქსირებენ მზადყოფნას მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე. აღნიშნული ქმედება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მსესხებლის თანხმობის შემთხვევაში;

8.8. გამსესხებელმა მის აუდიტორებს, კონსულტანტებს და მრჩევლებს საჭიროების შესაბამისად უფლებამოსილია გადასცეს მსესხებლის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად იმ პირობით, რომ აღნიშნული პირები თავის მხრივ დაიცავენ ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

8.9. გადასაცემი ინფორმაცია, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მსესხებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე სესხის/ვალდებულების მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტს, მოქმედების ვადას, მსესხებლის მიერ სესხთან/ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში – სასამართლო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს.

8.10. მსესხებელი ვალდებულია დაფაროს აღებული სესხი, სესხის ხელშეკრულების დანართში, თავსართში - და მის საფუძველზე გაფორმებულ დოკუმენტებში მითითებულ ვადაში.

9. ბანკის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

9.1. ბანკი ვალდებულია ყოველგვარი დამატებითი გადასახდელების გარეშე მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე, მსესხებელს მიაწოდოს მატერიალური ანდა ელექტრონული ფორმით მინიმუმ შემდეგი სტანდარტული ინფორმაცია:

9.1.1. სესხის ნაშთი;

9.1.2. სესხის შემდგომი შენატანის ვადა და ოდენობა გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გამო;

9.1.3. საშეღავათო ან სხვა პირობების არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია მათ შესახებ და ამ პირობის გამოყენებისათვის არსებული ვადები და საჭირო შენატანები გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს შეუძლებელია ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გამო.

9.1.4. ხელშეკრულების ასლი, რომელიც შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა იყოს დამოწმებული;

9.1.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული განახლებული მომავალი შენატანებისა და გამოტანების დეტალური გრაფიკი, რომელშეც მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: ძირითადი თანხა, პროცენტი, ბანკის მიერ დაწესებული სხვა გადასახდელები;

9.1.6. განხორციელებული შენატანებისა და გამოტანების დეტალური ამონაწერი, რომელშიც მოცემული უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია: ძირითადი თანხა, საპროცენტო განაკვეთი, პროცენტი, ბანკის მიერ დაწესებული სხვა გადასახდელები.

9.1.7. ბანკი ვალდებულია ყოველგვარი დამატებითი გადასახდელების გარეშე მსესხებლის მოთხოვნის საფუძველზე, მსესხებელს მიაწოდოს მატერიალური ანდა ელექტრონული ფორმით ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.

10. პასუხისმგებლობა

10.1. მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევა იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

10.2. მსესხებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებაში მოცემული ყველა პირობა და სრულიად აცნობიერებს გადახდების შეყოვნებასთან დაკავშირებულ შედეგებს.

10.3. მსესხებელი პასუხს აგებს გამსესხებლის წინაშე ხელშეკრულებაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე და სისრულეზე და ყველა, იმ ინფორმაციის სიზუსტეზე, რომელიც მან გამსესხებელს მიაწოდა ხელშეკრულების დადებამდე ან/და დადებისას, დადებამდე ან დადების შემდგომ.

10.4. სესხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია მსესხებელს დაარიცხოს ყოველდღიური ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სასესხო პროდუქტით გათვალისწინებული ოდენობის, და სესხის სპეციფიკური პირობების შესაბამისად. ვადის გადაცილებისათვის დაკისრებული თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვის ვალდებულებებისაგან.

10.5. გამსესხებელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მსესხებელს შესთავაზოს სესხის დაფარვის ე.წ. ინდივიდუალური გრაფიკი, ან/და ახალი სესხი. რომლის პირობებზეც მსესხებელი და გამსესხებელი შეთანხმდებიან დამატებით იგივე ფორმით, როგორც შეთანხმდნენ აქამდე. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით აქვე დაზუსტებულია, რომ ინდივიდუალური გრაფიკის შემოთავაზება და ახალი სესხის შეთავაზება წარმოადგენს გამსესხებლის დისკრეციულ უფლებას და არა ვალდებულებას და მსესხებელს არ შეუძლია მოსთხოვოს გამსესხებელს ასეთი უფლების განხორციელება.

10.6. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით.

10.7. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

10.8. მხარეები შევთანხმდით, რომ:

10.8.1. ბანკს ენიჭება უფლება ხელშეკრულების 2.9 პუნქტით განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი დაარიცხოს გადაუხდელ ძირ თანხას სრულად დაფარვამდე, ხოლო მსესხებელი ვალდებულია ბანკის მიერ ასეთი უფლების გამოყენებისას ძირ დავალიანებასთან ერთად გადაიხადოს ამ წესით დარიცხული საპროცენტო სარგებელი;

10.8.2. ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის დარიცხვა გააგრძელოს ხელშეკრულების შეწყვეტის ანდა ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევებშიც გადაუხდელი ძირი დავალიანების სრულად დაფარვამდე, ხოლო მსესხებელი ვალდებულია ბანკის მიერ ასეთი უფლების გამოყენებისას ძირ დავალიანებასთან ერთად გადაიხადოს ამ წესით დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

10.8.3. საკრედიტო ხელშეკრულებით მსესხებლის მერ გადასახდელი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას ბანკი უფლებამოსილია მსესხებელს მოსთხოვოს პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება, ხოლო მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს ასეთი პროცენტი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. გამსესხებელს შეუძლია ცალმხრივად ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

11.1.1. მსესხებელი არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

11.1.2. მსესხებელი აგვიანებს სესხის გადახდას გადახდის გრაფიკით დათქმული ვადების გადაცილებით 15 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს;

11.1.3. არღვევს გადახდის გრაფიკს ზედიზედ ორჯერ;

11.1.4. გამსესხებელისათვის ცნობილი ხდება, რომ მსესხებლის მიმართ მიმდინარეობს სამართალწარმოება, რომლის შესაბამისად მსესხებელს შესაძლებელია დაეკისროს მატერიალური ხასიათის ვალდებულება, რომლის მოცულობაც აღმოჩნდება იმხელა, რომ მსესხებელმა ვეღარ შეძლოს გამსესხებლის მიმართ არსებული სასესხო დავალიანების დაფარვა, ან მსესხებელი მოხვდა მოვალეთა რეესტრში და მისი ვალი აღემატება სესხის თანხას;

11.1.5. გამსესხებლისათვის ცნობილი ხდება, რომ ხელშეკრულების დადებისას მსესხებელმა მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია;

11.1.6. მსესხებლი გახდა გადახდისუუნარო;

11.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია სრულად დააბრუნოს აღებული სესხი გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა, დარიცხული პროცენტის და პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

12. მსესხებლის ვალდებულება მისი საკონტაქტო მონაცემების ცვლილებისას

12.1. მსესხებელი ვალდებულია: სასესხო განაცხადში მითითებული საკონტაქტო მონაცემების (იურიდიული ან/და ფაქტიური ან/და ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო ნომრის) ცვლილების შემთხვევაში, წერილობითი განცხადების მეშვეობით აცნობოს გამსესხებელს ახალი საკონტაქტო მონაცემები. ასეთი განცხადების გამსესხებლისთვის წარუდგენლობის შემთხვევაში, გამსესხებელი ყველა შეტყობინებას ან/და გზავნილს (გაფრთხილება, შეტყობინება, მიმართვა და სხვა დოკუმენტი) რაც განკუთვნილია მსესხებლისთვის აგზავნის განაცხადში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე, ხოლო ახალი საკონტაქტო მონაცემის შესახებ განცხადების წარდგენის შემთხვევაში ახალ საკონტაქტო მისამართზე.

12.2. მხარეები შევთანხმდით, რომ გამსესხებლის მიერ მსეხებლის მისამართით გაგზავნილი ყველა შეტყობინება ან/და გზავნილი (გაფრთხილება, შეტყობინება, მიმართვა და სხვა დოკუმენტი) მსესხებლის მიერ მიღებულად (ჩაბარებულად) ითვლება სასესხო განაცხადში მითითებულ საკონტაქტო მისამართზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე ან/და აპლიკაციაში ან/და ინტერნეტ-ბანკში გაგზავნისას.

12.3. მხარეები ასევე შევთანხმდით, რომ, იმ შემთხვევებში, თუ მსესხებელი ფაქტიურად აღარ იმყოფება სასესხო განაცხადში მითითებულ მისამართზე და სხვა ახალი საკონტაქტო მისამართის შესახებ გამსესხებელთან არ წარუდგენია

წერილობითი განცხადება ახალი საკონტაქტო მისამართის შესახებ, გამსესხებლისგან გაგზავნილი შეტყობინება ან/და გზავნილი (გაფრთხილება, შეტყობინება, მიმართვა და სხვა დოკუმენტი) ითვლება მსესხებლის მიერ ჩაბარებულად.

12.4. შეტყობინების ჩაბარების მიზნებისათვის უფლებამოსილ პირად ითვლება ნებისმიერი პირი მიუხედავად იმისა, წარმოადგენს ის, თუ არა უშუალოდ მსესხებელს ან მისი ოჯახის წევრს. ამ პირისთვის შეტყობინების გადაცემა ითვლება მსესხებლისთვის შეტყობინების ჩაბარებად.

12.5. მსესხებელი ადასტურებს, რომ თანახმაა სესხის ხელშეკრულების დადების შემდგომ ელექტრონული ფორმით აწარმოოს ანგარიშსწორება და მიმოწერა (ელექტრონული ფოსტა და/ან პირადი კაბინეტი და/ან აპლიკაცია/ინტერნეტ-ბანკი), დოკუმენტაციაზე პირდაპირი მექანიკური გზით ხელმოწერის გარეშე. მსესხებელი ინფორმირებულია, რომ გამსესხებლის მიერ წარდგენილი ანგარიში ატარებს საინფორმაციო ხასიათს და მისი მიუღებლობა არ გულისხმობს სესხის თანხის, გადასახდელი პროცენტის ან პირგასამტეხლოს გადაუხდელობას.

12.6. თუ იცვლება მსესხებლის მიერ მითითებული ანგარიში ან ხელშეკრულებაში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ გამსესხებელს და მიაწოდოს ყველა შეცვლილი ინფორმაცია.

12.7. მსესეხებელი უფლებამოსილია თავად აირჩიოს მასთან კომუნიკაციის არხი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს უფასო შეტყობინებების არხი. ამასთან ერთად, თუ გამსესხებელმა მსესხებელს, მის მიერ არჩეულ საკომუნიკაციო არხზე (საცხოვრებელ ან/და ელექტრონულ საფოსტო მისამართზე ან/და მობილურის ტელეფონის ნომერზე) გაუგზავნა შეტყობინებები ვადაგადაცილების შესახებ და მოქმედი კანონმდებლობით ანდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით საჭირო გახდა მსესხებელთან დამატებით სასესხო დოკუმენტაციის და/ან სასარჩელო დიკუმენტაციის, მათ შორის დამატებით გაფრთხილების წერილების შეკვეთილი საფოსტო გზავნილის გზით გაგზავნა, გამსესხებელს აქვს უფლება მოითხოვოს მსესხებლისგან ასეთი გზავნილის გაგზავნისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება . ამასთან ერთად, მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებელს არ დაეკისრება არანაირი გადასახადი მის მიერ არჩეულ საკომუნიკაციო არხზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნისათვის.

12.8. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მსესხებელი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ გამსესხებელმა გადასცეს მსესხებლის ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია საფოსტო საკურიერო სამსახურებს შესაბამისი შეტყობინების მიწოდების მიზნებისათვის.

12.9. გამსესხებელი პასუხს არ აგებს მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით დამდგარი შედეგის გამო.

13. **უფლებამონაცვლეობა**

13.1. მსესხებელი თანახმაა ხოლო, გამსესხებელი უფლებამოსილია, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირ(ებ)ს. შესაბამისად მოთხოვნების და უფლებების მესამე პირისთვის არაა საჭირო მსესხებლის რაიმე დამატებითი თანხმობის მოპოვება. მსესხებლისთვის მისაღებია ამ პუნქტის დებულება.

13.2. მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებელი, გამსესხებლის წერილობითი თანხმობის გარეშე, არ არის უფლებამოსილი ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოთხოვნები გადასცეს ან ვალდებულებები გადააკისროს სხვა პირს.

13.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე.

14. დავების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას.

14.3. მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად განსაზღვრულია საქართველო, ქ. თბილისი.

15. უზრუნველყოფა

15.1. ხელშეკრულებით (მისი დანართებითა და დამატებებით) გათვალისწინებული მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება უზრუნველყოფილია მსესხებლის მთელი ქონებით;

15.2. მსესხებლის მიერ გამსესხებლის წინაშე აღებული ვალდებულებების ნებისმიერი ნაწილობრივი ან მთლიანი დარღვევა, ან დავალიანების არსებობის შემთხვევაში სხვა საფუძვლებით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა გამსესხებელს აძლევს საფუძველს, გამოიყენოს ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად არსებული აქტივები მათი რეალიზაციის უფლებით, რომლიდანაც მიღებული თანხებით დაიფარება მსესხებლის სრული ან ნაწილობრივი დავალიანება ამოღებულო თანხის ოდენობით. მსესხებლის დავალიანების დაფარვის წყაროს, ასევე წარმოადგენს მსესხებლის საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრები და გამსესხებელი უფლებამოსილია ვალდებულების დასაფარად გამოიყენს აღნიშნული წყარო.

16. სხვა პირობები

16.1. საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ ცვლილება განპირობებულია ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და მომხმარებლების ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო, მსესხებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე 2 (ორი) თვით, ხოლო ხელშეკრულების სხვა პირობის ცვლილების შემთხვევაში 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტბანკით / მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ამასთან ერთად, მსესხებელს უფლება აქვს თავად აირჩიოს ზემოხსენებული ინფორმირების კონკრეტული არხი, რომელზეც მოხდება შესაბამისი ინფორმაციის გაგზავნა.

16.2. სესხის ხელშეკრულების თავსართში მითითებული დამატებითი პირობების დარღვევის შემთხვევაში სესხის მნიშვნელოვანი პირობის გაზრდისას მსესხებლის ინფორმირება მოხდება ცვლილების/ფასის ზრდის შემდეგ ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

16.3. დავალიანებული თანხის ამოღების შემთხვევაში ამოღების ხარჯებს ფარავს მსესხებელი, რაზეც მსესხებელი არის თანახმა.

16.4. მხარეები შევთანხმდით, რომ მსესხებლის პირადი პროფილიდან (კაბინეტიდან/ინტერნეტ-ბანკიდან/აპლიკაციიდან) წარმოებული ოპერაციები შესრულებული იქნება პირადად მსესხებლის მიერ, პირადი პროფილის გამოყენება მოხდება მხოლოდ მსესხებლის მიერ და სხვა პირებს არ ექნებათ ამ პროფილზე წვდომის უფლება. მსესხებლის პირადი პროფილიდან შემოსული განცხადებები, თანხმობები და დავალებები გაცემული იქნება მხოლოდ მსესხებლის მიერ.

16.5. მსესხებელი ადასტურებს, რომ მსესხებლის პირადი პროფილიდან შემოსული ყველა განცხადება, თანხმობა და შემოთავაზება გაკეთებულია მსესხებლის მიერ და სადავოს არ გახდის მის შინაარსს და გარიგების ნამდვილობას.

16.6. მსესხებელი უფლებამოსილია, მიმართოს გამსესხებელს და მიიღოს გამსესხებლის ხელმოწერით დადასტურებული ხელშეკრულება, იმ გარიგებაზე, რომელიც უკვე არის ელექტრონულად დადასტურებული.

16.7. მსესხებელი ადასტურებს, რომ გამსესხებელმა უზრუნველყო მსესხებლისათვის საკრედიტო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება. მათ შორის, საკრედიტო პროდუქტის ვებ-გვერდის მეშვეობით შეთავაზებისას ასევე, მსესხებლის განაცხადის შევსებამდე და შევსებისას ამავე არხით სასესხო პროდუქტის შეთავაზებისას ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომელიც მსესხებელს არ უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.

16.8. მსესხებელი ადასტურებს, რომ იგი სასესხო პროდუქტის პირობებს, მათ შორის სესხის განაცხადს, სესხის ხელშეკრულებას, სესხის ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს, სესხის ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს და სესხთან დაკავშირებულ ინფორმაციას გაეცნო წერილობითი ელექტრონული ფორმით და მას აღარ ესაჭიროებოდა გამსესხებელთან ამ გარიგების დადების გადაწყვეტილების მიღებისთვის ინფორმაციის ზეპირი ფორმით მიღება, თუმცა მას ეს საშუალება გააჩნდა.

16.9. მხარეები აღიარებენ, რომ საკრედიტო პირობებზე და პროდუქტზე შეთანხმდნენ დისტანციურად აპლიკაციის/ინტერნეტ ბანკის მეშვეობით. მხარეები ასევე ადასტურებენ, რომ ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, გამსესხებელმა/კრედიტორმა უზრუნველყო მის მიერ მსესხებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის მსესხებლის მხრიდან მიღების და გაცნობის, ასევე შეთავაზებულ პირობებზე თანხმობის დადასტურება აპლიკაციით განსაზღვრული და ამ ხელშეკრულებთ დადგენილი წესით და თანხმობის დადასტურების შემდეგ ძალაში შევიდა შეთანხმებული პირობები. პროდუქტის დისტანციურად შეთანხმებული პირობების შეცვლისას ყველა ასეთი ცვლილება, მსესხებლის მიერ მოთხოვნის დაფიქსირებისას ხელმისაწვდომი იქნება მსესხებლისთვის ნებისმიერი ფორმით გამსესხებლის/კრედიტორის სისტემის ტექნიკური მოწყობის შესაძლებლობების ფარგლებში. კრედიტორი მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ყოველგვარი დამატებითი ხარჯისა და საკომისიოს გარეშე, მისცემს მას წვდომას მასთან არსებულ სასესხო პროდუქტებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, მინიმუმ ერთი დისტანციური არხის (ინტერნეტი, ინტერნეტბანკი, მობილური ტელეფონი ან მობაილბანკი) საშუალებით კრედიტორის სისტემის ტექნიკური მოწყობის ფარგლებში.

16.10. მსესხებელი გაფრთხილებულია საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების შესახებ. მსესხებელი გაფრთხილებულია, რომ სესხის დაუბრუნებლობისას მის მიმართ გატარებული იქნება სამართლებრივი ზომები, რომლის დროსაც შესაძლებელია მას დაუყადაღდეს მიმდინარე საბანკო ანგარიშების, მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება და მოხდეს ამ ქონების იძულებითი რეალიზაცია სასეხო დავალიანების დასაფარად. მსესხებელი ადასტურებს, რომ მსესხებელმა მიიღო ინფორმაცია სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების და სავალუტო რისკის შესახებ (იმაზე, თუ მსესხებელს შემოსავლები კრედიტის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში აქვს).

16.11. მხარეები შევთანხმდით, რომ პრეტენზიების წერილობითი და ელექტრონული ფორმით მიღების/განხილვის სტანდარტული პროცედურის მიხედვით მსესხებელს აქვს შესაძლებლობა, პრეტენზია დააფიქსიროს ზეპირი, წერილობითი და ელექტრონული ფორმით; მსესხებლის მიერ პრეტენზიის დაფიქსირების სურვილის შემთხვევაში, მსესხებელს შეუძლია თავად აირჩიოს პრეტენზიის დაფიქსირების სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმა. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ზეპირი პრეტენზიის მიღება, მსესხებელს ასევე აქვს შესაძლებლობა პრეტენზია სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმითაც გამოხატოს; გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებლისგან პრეტენზიის (გარდა ზეპირი ფორმით) მიღებისას პრეტენზიის განმცხადებელს წერილობით/ელექტრონულად დაუდასტუროს პრეტენზიის

მიღება; პრეტენზიის განხივის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება პრეტენზიის დაფიქსირებიდან 15 სამუშაო დღე. გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს, მასთან შეთანხმებული ფორმით (წერილობით ან ელექტრონულად და/ან პრეტენზიის დაფიქსირების იდენტური მეთოდით) აცნობოს მას საკითხის შესწავლის შედეგები და, სადაც შესაძლებელია, შესთავაზოს პრეტენზიის გადაწყვეტის პირობები; პრეტენზიების განხილვას უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სპეციალური სამსახური; მსესხებლის მიერ პრეტენზიის წარდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებელია ნებისმიერ სერვის-ცენტრში. ამასთან ერთად, პრეტენზიის წარდგენის ფორმა, პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მსესხებლისთვის ხელმისაწვდომია მომსახურების სერვის-ცენტრშიც. ამასთან ერთად, გამსესხებელი ვალდებულია დაიცვას ამ წესით დადგენილი მოთხოვნები პრეტენზიების განხილვასთან, აღრიცხვასთან და სხვა პროცედურებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაშიც, როცა პრეტენზიის დაფიქსირების მომენტში სესხი გასხვისებულია ან რაიმე ფორმით სამართავად გადაცემულია მესამე პირზე.

16.12. მხარეები შევთანხმდით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს განმცხადებლის/მსესხებლის სასესხო განაცხადი, სესხის პროდუქტის აღწერილობა, სესხის ხელშერულების დანართი და თავსართი და სესხის გაცემასთან დაკავშირებული მატერიალური ან/და ელექტრონული სხვა დოკუმენტაცია.

16.13. მსესხებელი ანცობიერებს, რომ აღნიშნული ხელშეკრულების პირობები შესაძლოა პერიოდულად განახლდეს გამსესხებლის მიერ, შესაბამისად, პირობების განახლების შემდეგ ყოველი სესხის აღების ფაქტი ჩაითვლება განახლებულ პირობებზე მსესხებლის მიერ გამოხატულ თანხმობად.

16.14. მხარეები შევთანხმდით, რომ ელექტრონულ დოკუმენტაციას გააჩნია მატერიალური დოკუმენტაციის მსგავსი იურიდიული ძალა.

17. კრედიტის სპეციალური და სპეციფიკური პირობები

17.1. მითითებულია სესხის ხელშეკრულებაში, მის თავსართში ან/და დანართში, საკრედიტო პროდუქტის პირობებში, გადახდის გრაფიკებში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

18. ხელშეკრულების დანართები და თავსართი

18.1. სესხის განაცხადი;

18.2. ხელშეკრულების თავსართი (სესხის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები);

18.3. სესხის გადახდის გრაფიკი;

სესხის გადახდის გრაფიკი

დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების ნებისმიერი ცვლილება (ძირი / პროცენტი თარიღი და სხვა) განხორციელდება ბანკის მხრიდან ცალმხრივად და ავტომატურად რაც ეცნობება მსესხებელს ცვლილების შემთხვევაში. ახალი დაფარვის გრაფიკი აღარ საჭიროებს მხარეების მხრიდან მის ხელმოწერას და ძალაში შედის მისი შედგენის მომენტიდან.
დაფარვის გრაფიკი შედგენილია ლარში.

{% for row in _IBankLoanAgreement['LoanSchedule'] %} {%endfor%}

N	დაფარვის დღე	საწყისი ნაშთი	ძირითადი თანხა	პროცენტი	ყოველთვიური საკომისიო	გადასახდელი თანხა	საბოლო ნაშთი